




## კოხლეაური იმპლანტიტა და სმენის აპარატით უზრუნველყოფის კომპონენტი

ყრუ და სმენისარმქონე შუბ პირთა ვიდუო  
კონფარენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური  
საშუალებით (სმარტფონი) უზრუნველყოფის  
კომპონენტი

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022  
წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

## ვინ არის სმენის აპარატებით უზრუნველყოფის პროგრამის მოსარგებლე?



სმენის აპარატის  
საჭიროების მქონე  
სმენადაქვეითებული  
შებლდული  
შესაძლებლობის  
მქონე (შშმ) პირები



სმენის აპარატის საჭიროების  
მქონე სმენადაქვეითებული შშმ  
ბავშვები და ხანდაზმული პირები  
(ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები -  
65 წლიდან)

## ვინ არის კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის პროგრამის მოსარგებლე?



შესაბამისი საჭიროების მქონე 6 წლამდე ასაკის ბავშვები;



6 წლისა და მეტი ასაკის პირები, თუ სამედიცინო დასკვნის  
თანახმად, ნაჩვენებია კოხლეარული იმპლანტაციის  
ოპერაცია;



ის პირები, რომლებსაც წინა წლებში მიღებული აქვთ  
კოხლეარული იმპლანტი და საჭიროებენ რეაბილიტაციას;



ის პირები, რომლებსაც კოხლეარული იმპლანტაცია  
ჩატარებული აქვთ სახელმწიფო პროგრამისგან  
დამოუკიდებლად და საჭიროებენ:

ა) ოპერაციის შემდგომ, პერიოდულად,  
კოხლეარული იმპლანტის მორგება-რეგულირებას  
(ინტრაოპერაციულად და პოსტოპერაციულად);

ბ) ლოგოპედის (მეტყველების თერაპევტის)  
მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელთანაც  
სააგენტოს დადებული აქვს ხელშეკრულება.

## სმენის აპარატებით ან კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვისთვის საჭიროა:

- » მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დანერილი განცხადება, რომლის წარდგენა შეუძლია როგორც პროგრამით სარგებლობის მსურველს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. **განცხადების წარდგენა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;**
- » პროგრამის მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი);
- » პროგრამის მოსარგებლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობა ან პასპორტი) ასლი, ხოლო მინდობით აღზრდის შემთხვევაში - მინდობით აღზრდის ხელშეკრულება;
- » შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (საპენსიო მოწმობა) გარდა ხანდაზმული პირისა და 5 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებული ბავშვებისა, რომლებიც აღნიშნულის დამადასტურებლად წარმოადგენს სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N – IV -100/ა;
- » სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემონმების აქტი -ფორმა N IV-50/2. **იმ სამედიცინო დანუსებულებაში, რომელსაც აქვს შშმ სტატუსის დადგენის შესაბამისი უფლება.**

**შენიშვნა:** პროგრამაში ჩართვის შემდგომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოდან მიიღებთ წერილს, სადაც განსაზღვრულია მომსახურების მიღების პირობები

## სმენის აპარატების სერვისის მიწოდების სტანდარტები

პროგრამა მოიცავს წელიწადში არანაკლებ 1 580 ციფრული სმენის აპარატის (მათ შორის: 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის პედიატრიული ციფრული სმენის აპარატის - 80 ცალი) შექენასა და გაცემას.

### პროგრამის ფარგლებში ხდება:

1

ციფრული აპარატის მორგება გეოგრაფიულად ხელმისაწვდომ ადგილზე - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში;

2

ციფრული სმენის აპარატის გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების განწევა;

3

გაცემული ციფრული სმენის აპარატის უფასო საგარანტიო მომსახურება არანაკლებ 2 წლის განმავლობაში;

4

პედიატრიულ ციფრულ აპარატს უნდა ჰქონდეს: სიხშირული დიაპაზონის გამყოფი ზღურბლის ცვალებადობის შესაძლებლობა; ტელეფონთან კავშირის რეჟიმი, ინდუქციურ დენზე რეაგირების შესაძლებლობა; პროგრამების ავტომატურად გადართვის ფუნქცია/ შესაძლებლობა; უსაფრთხოების დამატებითი ზომები; რეზისტენტობა მსუბუქი ვარდნის, წყლისა და მტვრის მიმართ; დამუხტვის ინდიკატორი;

## კობლევარული იმპლანტის სერვისის მიწოდების სტანდარტები

- » წელიწადში 30 კობლევარული იმპლანტის შექმნა;

---

- » შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მიერ სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება არანაკლებ 18 თვის განმავლობაში, რაც, თავის მხრივ, მოიცავს:
  - ა) ოპერაციის შემდგომ, პერიოდულად, კობლევარული იმპლანტის მორგება-რეგულირებას (ინტრაოპერაციულად და პოსტოპერაციულად);
  - ბ) ლოგოპედის (მეტყველების თერაპევტის) მომსახურებას ბენეფიციარისათვის, მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის ან მინდობით აღმზრდელისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

---

- » ერთი კობლევარული იმპლანტის დაფინანსება ხდება - 39 500 ლარის ფარგლებში;

---

- » ოპერაციის შემდგომ, პერიოდულად კობლევარული იმპლანტის მორგება რეგულირების ღირებულება რეაბილიტაციის პერიოდში - 4 500 ლარის ფარგლებში; ამასთან ერთი პროცედურის ღირებულება შეადგენს 500 ლარს;

---

- » ლოგოპედის (მეტყველების თერაპევტის) მომსახურების ღირებულება რეაბილიტაციის პერიოდში - 3 000 ლარის ფარგლებში. ერთი ვიზიტის (გაკვეთილის) ღირებულება რეაბილიტაციის პერიოდში - 20,83 ლარის ფარგლებში;

---

- » ანაზღაურება განხორციელდება ბენეფიციარის მიერ მომსახურების თვეში მიღებული მომსახურების (გაკვეთილის) რაოდენობის შესაბამისად.



ყრუთა კომუნიკაციის  
ხელშეწყობის ქვეპროგრამის  
ფარგლებში საქართველოს  
მინიმუმ რვა რეგიონში  
ხელმისაწვდომია 10  
სურდოთარჯიმნის მომსახურება

---



თითოეულ რეგიონში  
მინიმუმ ერთი  
სურდოთარჯიმანია


---

ყრუ და სმენის არმქონე შშმ  
პირთა ვიდეოკონფერენციის  
ფუნქციის მქონე ტექნიკური  
საშუალებით (სმარტფონი)  
უზრუნველყოფის კომპონენტი

---



## ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?



ორმხრივი თანდაყოლილი ან შეძენილი სიყრუის ან სმენაჩლუნგობის მე-4 ხარისხის მქონე შშმ პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვთ 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა და გასული ორი წლის განმავლობაში არ მიუღიათ აღნიშნული დამხმარე საშუალება.





## პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:



მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დანერილი განცხადება, რომლის წარდგენა შეუძლია როგორც პროგრამით სარგებლობის მსურველს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. **განცხადების წარდგენა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;**



პროგრამის მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი);



შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლი - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი - ფორმა, IV-50/4;



პირზე გაცემული სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა IV-50/2, რომელშიც მითითებული იქნება განსაზღვრული სამიზნე ჯგუფისათვის აღნიშნული დიაგნოზი - ორმხრივი თანდაყოლილი ან შექნილი სიყრუე ან სმენაჩლუნგობა მე-4 ხარისხი.

**შენიშვნა:** პროგრამაში ჩართვის შემდგომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოდან მიიღებთ პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო, ეგრეთწოდებულ ვაუჩერს. ვაუჩერის გამოყენების პირობებს გაეცნობით თანდართულ წერილში.

## სერვისის მიწოდების სტანდარტები

# 1

კომპონენტის ფარგლებში მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება მატერიალიზებული ვაუჩერი, რომელიც განკუთვნილია მიწოდებული პროდუქციის (მომსახურების) დაფინანსებისათვის.

# 2

კომპონენტით გათვალისწინებული პროდუქციის (მომსახურების) ღირებულების ასანაზღაურებლად განკუთვნილი ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი სმარტფონის შემთხვევაში შეადგენს 300 ლარს.

# 3

პროდუქციის (მომსახურების) მიწოდების ასანაზღაურებლად წარდგენილი ფაქტობრივი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ პროდუქციის (მომსახურების) მიმწოდებლად რეგისტრაციისას წარდგენილი პროდუქციის (მომსახურების) განფასებაში დაფიქსირებულ ღირებულებას.

## რეგისტრაციის დიაგრამა



**სამედიცინო ფორმა 100-ის** მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვეო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.



საპენსიო მონმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ**, გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გადაგებად დარეკეთ ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზზე - 111.



**სამედიცინო ფორმა IV-50/2**, გასცემს ის სამედიცინო დაწესებულება, სადაც გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მონმობა. აღნიშნულ ფორმაში მითითებული იქნება დამხმარე საშუალების დასახელება.

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

## ხშირად დასმული კითხვები:

1. თუ პედიატრმა არ გადაამისამართა ჩემი შვილი ექიმ-ექსპერტთან, რატომ ვთვლი რომ აუცილებელი იყო, ვის შეიძლება დავუკავშირდე?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

2. სად ხდება კონსულტაციური იმპლანტისა და სმენის აპარატით უზრუნველყოფა?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

ონლაინპლატფორმა: [www.sheaghe.ge](http://www.sheaghe.ge)

ცხელი ხაზი: 0 800 900 902

3. როგორ სარგებდებით დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში ვეზულური შენაძლებალობის მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

ონლაინპლატფორმა: [www.sheaghe.ge](http://www.sheaghe.ge)

ცხელი ხაზი: 0 800 900 902

4. სად ხდება კონსულტაციური იმპლანტის მორგების შემდგომ

სარეაბილიტაციო კურსის გავლა?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

ონლაინპლატფორმა: [www.sheaghe.ge](http://www.sheaghe.ge)

ცხელი ხაზი: 0 800 900 902

5. ვის მივმართო თუ მოხდა დამხმარე საშუალების/სმარტფონის დაზიანება?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

**6. საგარანტიო ვადის გავლის შემდეგ, აპარატის დაზიანების შემთხვევაში, რა ტიპის სერვისის მიღება არის შესაძლებელი უფასოდ?**

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

---

**7. ვის მივმართო თუ გჭირდება სურდოთარჯიმნის მომსახურების მიღება?**

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11  
ონლაინპლატფორმა: [www.sheaghe.ge](http://www.sheaghe.ge)  
**ცხელი ხაზი: 0 800 900 902**

---

**8. რა შემთხვევაში ხდება კონსულტაციური იმპლანტის ან სმენის აპარატის შეცვლა ახლით?**

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

---

**9. ვის შეიძლება მივმართო თუ გვიანდება პროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის ან არ ხდება ვაუჩერით განსაზღვრული მომსახურების მიღება?**

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11  
ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111  
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

---







**MAC** GEORGIA

აიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსადის ქ. 3, თბილისი 0179

+995 32 197 378

უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202